ფასი 5 მ.

ეშმაკის ფანქარი

№ 11

1920 წ.
თებერვლის 1



ახალი „პრიბავკა“

გაკვარი. კიდევ ახალი „პრიბავკა“ მოგვივიდა... 60 პროცენტი მოუმატებიათ ჯამაგირებზე! აბა, ჩქარა ასწიე, ჰოვ, ძველი ფასები: 60 პროცენტი იაკგარიშე: საც, თუმანი გიწერია—ორ თუმან ხახევარი დაწერე, საცა, ორი თუმანია—იკ ხუთი თუმანი გაჰხადე! არ კი შეგცდეს იცოდე: 60 პროცენტი—ორ ხან ა ორჯერ მეტსა ნიშნავს.

ხონთქარი და ლენინი, ანუ კვერცხების გაიაფება.



რუსეთში რომ განამტკიცა ბოლშევიკური სოციალიზმი, ლენინმა მიმართა დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს:

— ამხანაგო პროლეტარებო! წითელ რუსეთში ძლევა მოსილად გაისმის სამოქალაქო ომის გამწმენდელი ცეცხლის შეუწყნარებელი გუგუნი! ბურჟუაზია და ინტელიგენცია ჰაერში დავკიდეთ ძეხვებივით!.. მოლალატე მენშევიკები და ესერები ოთხში ამოვიღეთ!.. ურჩ გლეხკაცობას და აჯანყებულ სოფლებს ზარბაზნები დავუშინეთ!.. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი ვალი! ეხლა საქმე თქვენზეა, ამდანაგებო! ჩვენი მაგალითი თქვენ თვალწინ არის გადაშლილი! შემოიღეთ ასეთი წესები ევროპაში, ხდაამყარეთ სოციალიზმი!

ევროპის პროლეტარიატი ვერ აღმოჩნდა ბალშევიკური სოციალიზმისათვის მომზადებული და ლენინის მოწოდებამ არ გასჭრა მათზე. მაშინ შეიკრიბა საბჭოთა მთავრობა და დაადგინა:

— ვინაიდან დასავლეთი ქვეყნები და იქაური მუშები იმპერიალისტური სულისკვეთებით არიან გარყვნილნი და ჯერ ჯერობით ვერ არიან მომზადებულნი სოციალიზმის შესათვისებლად, ხურგი შევაქციოთ მათ და მივმართოთ აღმოსავლეთს, შევკრათ მჭიდრო კავშირი ოსმალეთის სოციალისტურ მთავრობასთან—ხონთქართან და ფაშებთან—მივიღოთ მაჰმადის რჯული და გავატაროთ ჩვენი აზრები სამუსლიმანო ქვეყნებში. ამ მიზნისთვის უპირველეს ყოვლისა ვაფრინოთ შიკრიკი სულთანთან, რათა მან გამოგვიგზავნოს ინსტრუქტორებ თავიანთი ხოჯებათ და მოლები და მივიღოთ ნათელი ისლამისა!



ეს დადგენილება დაუყონებლივ შეასრულეს და აფრინეს ხონთქრის კარის წინაშე შიკრიკი.

ინსტრუქტორები მოვიდნენ ოსკოვს და წარსდგენ საბჭოთა მთავრობის წინაშე. კომისარებმა მუხლი მოიღრიკეს და მიესალმენ:—სალამი თქვენდა, დიდებულო მოციქულნო სოციალიზმისაო!

ინსტრუქტორები შეუდგენ რუსეთის გამაჰმადიანებას. ჯერ ლენინიდან დაიწყეს.
უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო წინადცვეთის წესის შესრულება. ლენინი უდრტვინველად მოემზადა წინადაცვეთისათვის.

ხუთჯერ დღეში, შემდგომად წმინდა რჯულისამებრ განბანისა, მექისაკენ პირშექცეული სახალხო კომისარები მხურვალე ლოცვას აღავლენდენ ალლაჰისადმი სოციალიზმის დამყარებისათვის.

სახალხო კომისარები იძულებული გახდნენ შემოეღოთ მაჰდადის წესისამებრ ჰარამხანები, დაეტკბოდ თვალნი შიშველ ბანოვანთა ცქერით, ხოლო ყურნი დაირისა და სხვა საკრავთა ხმებით.

ივანე დიდის სამრეკლო მინარეთად გადააქცეს, მაცხოვრის ტაძარი, ვნების მონასტე-

რი და სხვა საყდრები მეჩითებად გადააკეთეს და ნაცვლად ჯვრებისა ახალი მთვარეებით დაამშვენეს მათი გუმბათები.

შემდეგ გამოსცეს ფიცხელი დეკრეტი, რათა მთელ სობჭოთა რუსეთს დაუყონებლივ მიეღო მაჰმადის რჯული, რომელიც გვიახლოვებს სოციალიზმს.

გამაჰმადიანებული რუსეთის გლეხკაცობა წარსდგა ლენინის წინაშე და მოახსენა:

— თვალო ოტარიდისაო! ჩრდილი შენი ჰფარავს კიდით ჩიდემდე მაჰმადიან რუსეთის თვალ უწვდენელ სივრცეს, მაგრამ ქვეშევრდომნი შენნი იხოცებიან სიმშილისაგან! განავრცე წყალობა შენი ხალხთა ზედა შენთა ერთგულთა და მიეც მათ პური სადიდებლად ალლაჰისა და წინასწარმეტყველთა მისთა ლენინისა და მაჰმადისა!

ლენინმა უპასუხა:

— ნაშობნო უგუნურებისანო! ნუ უკვე არა უწყითა, რამეთუ ამ ჟამად მარხვა არს დიდისა წინასწარმეტყველისა ჩვენისა, და მარხვასა ამას ეწოდების რამაზანი, და ქვეშევრდომთა ჩემთა არა აქვთ ნება სჭამონ პური არცა დღისით და არც ღამით! განვედით ამიერ და განმერინგნით და არა

გაჰბედოთ შემდგომად ამისა აკვლავ მოთხოვა პურისა, რომელი არს საჭამად გიაურთა, არა თუ მართლ=
მორწმუნე მაჰმადიანთა!



როდესაც მთელი რუსეთის ხალხი გამაჰმადიანდა, ლენინმა გააბა პირდაპირი მავთული ხონთქართან და გამართა მასთან მოლაპარაკება. ქვეყნის მმართველები ერთმანერთს ძმობით მიმართავენ ხოლმე: mon frére!—ჩემო ძმაო, ო' მალურათ კი—ყარდაშ...

ლენინი: სალამ ალეიქუმ, ყარდაშ!

ხონთქარი: ალეიქუმ სალამ, ყარდაშ!

ლენინი: უაღრესი სიხარულით მოგახსენებ, რომ ამ ჟამად მთელი რუსეთი მაჰმადის რჯულს აღიარებს. ნება მიბოძე, გეახლო შენ, ნაცვალო მაჰმადისაო, რათა შენთან ერთად გავამტკიცოთ ქვეყანაზე იდეა მუსლიმანურის სოციალიზმისა და წავლეკოთ და ამოვჟლიტოთ ურწმუნო გიაურები!

ხონთქარი: მობრძანდი, ჩემო ერთგულო მეგობარო! ჩ მი კედლები განზე გაიწევს, ჭერი ავა ღრუბელებამდი. შენისთანა სტუმარი—ბედნიერებაა მართლმორწმუნე მასპინძლისათვის!

ლენინმა დაამზადა ოსმალურ ენაზე დაწერილი პროკლამაციები და გაემგზავრა ხონთქართან.



ლენინი წარსდგა ხონთქრის წინაშე, სალამი მისცა მას და სთხოვა გაეცნო მისთვის და მის ამ-ხანაგებისთვის ოსმალეთის ცხოვრება.

ხონთქარმა უპირველეს ყოვლისა ოსმალეთის საპყრობილე აჩვენა.
— აი, ასე ვსჯით ჩვენ ხონთქრის ორგულთა და მოღალატეთა,—უთხრა მან ლენინს.
ლენინი კი იცინის, იცინის კვდება სიცილით.
— რას იცინი?—მრისხანეთ ჰკითხა ხონთქარმა.

— მე იმას ვაცინი,—უპასუხა ლენინმა—რომ თქვენი წესები მოღალატეების დასჯისა ჩემთვის მეტად სასაცილოა... ნება მიბოძე, ჰოი წყაროო სიბრძნისაო, მეც გაჩვენო სურათები სოციალისტურ რუსეთ-ს სინამდვილისა.





და ეხან გადაუშალა თვალ-წინ ბონიფაცის საუცხოვო სურათები სოციალისტურ რუსეთის შშვიდობიან ცხოვრებისა.

საბჭოთა რუსეთის ცხოვრების სურათები რომ იხილა, ხონთქარს გული საშინელი შურით აევსო, მისი შუბლი მოიღრუჯლა, წარბები შეეკრა და თვალთაგან ნაპერწკლები გაჰყარა.

— შეიპყარით კადნიერი ესე და ამხანაგნი მისნი და დაასაჭურისეთ ეხლავე—ბრძანა მან.

და აჰა, შეიპყრეს იგი და მასთან მოწაფენი მისნი და დაუჭირეს მათ თავნი და ტანნი და შეუდგნენ დასაჭურისებასა მათსა.

ლენინსა და მის ამხანაგებს ღაპა-ღუპით სცვივოდა ცრემლები და არა მარტო ცრემლები.



და უკუოქცნენ ლენინი და ძმანი მისნი საჭურის-ქმნილნი და წარვიდნენ მოსკოვს...



და მივიდნენ მუნ, გარნა ბანოვანნი ჰარამ ხანათა აუჯანყდნენ მათ, ნერწყვიდნენ მათ ფრიად, და სცემდნენ ცოცხებითა, და აგინებდნენ და ეტყოდნენ:

— ფუი თქვენდა, რამეთუ აწ არა ხართ არცა ვაჟნი, არცა ქალნი, არამედ უსქესონი და უქნარნი, საძულელნი ყოველთა და ყოვლისათვის!

და დასხდნენ საჭურისნი და ურვიდნენ და სტიროდნენ მუნ.

— რაი არს ცხოვრება ჩვენი ამ ჟამად, იტყოდა ლენინი და ცრემლები სცვივოდა თვალთაგან: რაი-ღა ნაყოფი მოუკიეს ჩვენდა მოგზაურობასა ოსმალეთსა შინა? ხოლო ერთი მათგანი, რომელი აგრეთვე საჭურის=ქმნილ იყო, ეტყოდა მას ნუგეშის ცემად:

— დიდ არს ნაყოფი იგი, რომელი მოუკიეს ჩვენდა მოგზაურობასა ამას, რამეთუ კვერცხი გაიაფებულ არს მოსკოვსა სასიხარულოდ მაჰმადიან კომუნისტებისა.

შექანჯალებულის ლექსები

I.

ჰეი, ჰოი, დელი, დელო,
მო, გადავკრათ სადღეგრძელო,
და დამოუკიდებელი
ვადღეგრძელოთ საქართველო.
  დღეს დამოუკიდებელი
  მეც ვარ, ჩამომართვეთ ხელი,
  ჩამეხვიეთ, მომილოცეთ,
  (თავის კოსრო დამიკოცნეთ)
შობა და ახალი წელი,
ხაჭაპური და ღვეძელი,
რადგან ძვირობს ფქვილი, ყველი,
წელს მე აღარ მიჭამია...
  ჩემი ჭკუა თამამია...
  გამიხურდა თავის კეფა,
  ძველმა წელმა გადიყეფა,
  და ახალი გაამეფა.
პური თუ გაგვიიაფა,
ვსჭამოთ მაშინ ქადა, ფაფა.
კაბებსაც კი შეგიკერავთ,
მოდი, ღვინის ტიკს გავბერავ.
  რას იცინი, კბილებს რას კრეჭ,
  თმებსაც კოხტად შემოგაკრეჭ...
  დღეს ჩემმა პარიკნახერმა,
  იმ ტუტუცმა, იმ ოხერმა,
მაკრატელი აწკაპ წკაპა,
ულვაშები გამიკაფა.

II.

  ვაი, დედავ, ვაი, ვაი!!!
  ვიცი, გამჭყლეტს ეს ტრამვაი,
  ჰე, მომდევს ავტომობილი,
  გამიერთოს სურს ძვალ-რბილი,
რა ძვირია პურის ფქვილი...
ვატყობ,—არ მჭირია კბილი,
რა გავხრა, ან რა გავტკვირო...
სჯობს, რო მტკვარში ჩავიძირო,..
  და იქ ლოქო დავიჭირო...
  ფეხსაცმელი მაქვს უძირო
  და სიცივემ გამაშეშა,
  მქონდეს ერთი ვირი შეშა,
ერთხელ ოთახს გავათბობდი...
ძილში, სადღაც ვქეიფობდი,
თითის ტარზე ძაფს ვართავდი,
გადმოხვეწილ ქალს ვირთავდი.

III.

  აბადილი, დელია, დელია!.,
  ამ ზამთარში უბინობა ძნელია...
  ათ ოთახში ცხოვრება ხომ ვრცელია,
  ათისათვის ერთ ოთახში ცხელია,
„ლიშნი ხალხი“ აქ აურაცხელია.
ჩემი ტვინი, ჰაუ, რა რიგ თხელია!!!
გთხოვთ, გამიშვათ, არ მოჰკიდოთ ხელია,
სანოვაგის ყიდვა ნიხრზე ძნელია...
  თუ რომ არ ხარ შენ მილიცელია...
  დღეს ქანქარი მუქთად საშოველია
  თუ კი კაცი „ჩამაიმასმქნელია“.
  აბა დელი, დელია, დელია...
  პატიოსნად ცხოვრება რა ძნელია, ძნელია.

IV.

სანოვაგე ავიკიდე,
გადავზიდე, გადმოვზიდე—
და ბათუმში სწრაფულ გავყიდე,
ათასობით ავკარი „დონი“,
  ნაცვლად არვინ მომცა ბონი,
  დამეკარგა ჭკუა-გონი,
  ველარ ვზიდე დონის ფული,
  მაგრამ არ გამიძღა გული.

V.

ჩავალ ერთი მეც ბათუმში,
თუ რომ არ მომცხეს ხართუმში,
ქალაქი მსურს ჩავიბარო
და პოგრომი დავაწყნარო...
  თან ჩავიტან ქართულ ბონებს,
  გავაქარწყლებ უცებ „დონებს“,
  და სულ ყველა მომიგონებს...
  თან შეუპრენტ, გადვირევი,
დენიკინლებს დავერევი,
და ავადენ ხურგზე ბოლსა,
გავაცილებ სწრაფულ სტამბოლსა...
მაშ, მაშ! ვინ გგონივართ აბა?!
  დიაცი ვარ, მეცვას კაბა?!?
  ტუჩებს დაგწვავთ ცხელი ფაფა!..
  დავიხუროთ თავზე ტაფა...
  შაქარი და ქაშმიშ—ბრინჯი...
როგორ უნდა ვიყო დინჯი,
ჭკუა რომ მაქვს გასასინჯი...
მჩხრიკეთ ყურში, მაშ, სასინჯი,
მომეხმარეთ, იწვის კეფა.
თავში ძაღლმა დაიყეფა...

შექანჯალებული.

პატარა ფელეტონი.

დეკრეტების წვიმა.

დეკრეტი № 1.

ჭამისა ანუ ჭამის დეკრეტი.

განმარტებითი ბარათი.

მოამზადებელია სოლ. ზურგიელიძე.

ბ-ბო! ეს დეკრეტი ფრიად მნიშვნელოვანია თავის შინაარსით. ჭამა ისეთი ფაქტორია ადამიანის ცხოვრებაში, რომ მას ვერაფერი შეედრება. სჭამს დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზდა, ქალი და კაცი, ნასწავლი და უსწავლელი, ფილოსოფოსი და სულელი, მინისტრი და უბრალო მოხელე, ბურჟუა და პროლეტარი, რევოლიუციონერი და კონტრ-რევოლიუციონერი. ჭამისათვის იბრძვის ყველა: ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი, რუსი, ჰოტენტოტი, ჩინელი და სხვა...

ერთი სიტყვით, რაღა გავაგრძელოთ ლაპარაკი, ჭამა ასე ვსთქვათ საჭიროა. მე დარწმუნებული ვარ რომ ეს დეკრეტი უკამათოთ და ერთხმად იქნება მიღებული ყველა პარტიების მიერ.

ტექსტი დეკრეტისა.

მუხლი I. რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს მიეცეს უფლება ჭამისა.

შენიშვნა: ჭამა უნდა სწარმოებდეს კანონიერების და სინიდისის ფარგლებში.

მუხლი II. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან ცხოვრების გაიაფებისა.

დეკრეტი № 2.

სავალიუტო საქონლის გაცვლა-გამოცვლისა.

ტექსტი.

მუხლი I. გატანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკიდან უცხოეთში ყველაფერი.

მუხლი II. შეოტანილ იქნეს უცხოეთიდან საქართველოში არაფერი.

მუხლი III. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან სასურსათო სამინისტროს დაარსებისა.

დეკრეტი № 3.

საბჭოთა რუსეთის მიერ კომუნიზმის განხორციელებისა.

მუხლი. I. განხორციელებულ იქნეს კომუნიზმი ბაშკირეთში, ავღანისტანში, ბელუჯისტანში და ჰოტენტოტეთში.

შენიშვნა: ისეთ კულტურულად ჩამორჩენილ ქვეყნებში, როგორიც არის ჩრდილო ამერიკა, ინგლისი საფრანგეთი და სხვა... დროებით დატოვებულ იქნეს კერძო საკუთრების პრინციპი.

მუხლი II. პირველ მუხლში აღნიშნულ მიზნის განხორციელება მიენდოს კომუნიზმის ბელადებს ენვერ-ფაშას, ნური-ფაშას, რიზა-ფაშას და სხვა ფაშებს.

მუხლი III. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან ბოლშევიკების გამაჰმადიანებისა.

დეკრეტი № 4.

დენიკინის მიერ ძველი რუსეთის აღდგენისა.

1 აღდგენილ იქნეს ძველ საზღვრებში გაერთიანებული დიდი რუსეთი.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ მიზნის განსახორციელებლად ებრძანოს მოხალისეთა ჯარს უკან დახევა ვიდრე დასახვევი გზა ექმნება.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან ბაბუა ჩემის მკვდრეთით აღდგომისა.

დეკრეტი № 5

ცხოვრების გაიაფების თილისმის შექმნისა.

1. მოემატოს ყველას ჯამაგირები 40%-ით თანახმად სატარიფო პალატის დადგენილებისა.

2. მოემატოს ყველა საქონელს ფასი 4000%-ით თანახმად სპეკულიანტების აღვირ-წახსნილობისა.

3. დეკრეტი ესე შედის ძალაში ყოველ დღელახტი.

საგალდებულო დადგენილება,

„ეშმაკის მათრახის“ რედაქციამ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა:

1) არ დაიბეჭდოს გრძელი და უშინაარსო წერილები.

2) არ დაიბეჭდოს ის წერილები, რომელთაც ავტორის სახელი და გვარი არ აწერია.

3) არ დაიბეჭდოს ისეთი წერილები, რომელშიაც დაუსაბუთებელი ლანძღვაა რომელიმე პიროვნებისა ან დაწესებულებისა.

4) არ დაიბეჭდოს ისეთი წერილები, რომლებშიაც ეშმაკის მათრახის რედაქციის, ან რესპუბლიკის მთავრობის წევრთა ქება იქნება გამოყვანილი.

5) არ დაიბეჭდოს არც ერთი დეპეშა უკეთუ თითოეული მათგანი **ათ** სიტყვას აღემატება.

ზემოაღნიშნული დადგენილება ძალაში შედის ამა წლის თებერვლის პირველიდან.

ეშმაკი და თაგუნა.

გაგონილა, ხალხნო, ამდენი პრაზნიკები?!

გაგონილა, ხალხნო, ამდენი პრაზნიკები, ამდენი პაჟერტვანია!! გაიფხეკა ჯიბეები, ქრისტიანო, ფოლ ჩკა ვა!.. წამ და უწუმ მომადგებიან ბარიშნები, მოპაკრამენ რგვალ-რგვალ ქაღალდის ნაჭრეებს გრუდზე, თითქოს მოსკოვწკი აკადემია დამესრულებინოს, გამიყრიან ქინძისთავს და გინდა თუ არა ფულიო! არ მივცე, უარი როგორ უთხრა ამ გოგოებს, მიეცე და ჩემი დამემართა!.. მაინც და რანაირად გაშხირდა, კაცო, ეს პრაზნიკები! ეს გვარდიის დღეო, ეს ფრონტის დღეო, ეს სტუდენტებისაო, ეს არტისტებისაო!.. ყველა თითო დღეს და თითო ჩესლოს ირჩევს და სობსტვენი პრაზნიკს აცხადებს! ვა, ვა, ვა, როგორ ამბარცუმას ქელეხის ლავაშებივით დაირიგეს ეს დღეები!

კაცო, ყველა ამქარმა, ყველა ხელოსანმა რომ თითო დღე პრაზნიკათ გამოიცხადოს, ხალხნო, სად ეყოფათ ეს დღეები, ვის რა ჩამოხვდება?! ვა, ამ ხალხის პასტუპკას რომ უყურებ გამოვტვინდი რაღა? ჯერ ისეც ბატისტვინა ვიყავი და ეხლა ხომ სულ გამოვლაყდი კაცი!

კარგი, თუ გინდა ეს გვარდიის დღე იყოს პრაზნიკი, რაც უნდა იყოს... ჩვენი ბიჭებია შიგა: არტემა, ბინასა, ბაგრატა, არშაკა, კირაკოზა, მარტირუზა, პოღოსა, სედვაკა, გეურქა, კაკული, მიკიჩა... ნუ, ალალი იყოს იმათზე ღარიბი ხალხია. ეს ფრონტის დღეო... ნუ, ესეც იმ ბიჭებისაა ღმერთმა შაარგოთ ამ პრაზნიკში აღებული ფული. ეს სტუდენტების დღეო, სიტყვაზე... არც ესაა ურიგო, ნასწავლი ხალხი არიან და ჭკვას გვასწავლიან. ეს ყველა, ყველა, მაგრამ ეს არტისტების დღეო რომ იძახიან, ის კი არ ვიცი რაშია საქმე, იმათ რაღა პრაზნიკი უნდათ პრამა ნი პანიმაიუ რაღა! განა წელიწადი თორმეტი თვე სულ პრაზნიკი არა აქვთ არტისტებს?! მე შენ გითხრა ხნავენ, სთესავენ, ვაჭრობენ, მუშაობენ, ან სლუჟბაში არიან სადმე! მთელი წელიწადი მუქთათ დადიან, ღრეჭისა და სხვისი დაცინვის მეტს არას აკეთებენ და კიდევ იმათ სობსტვენი არტისტიჩესკი დღეს უმართავენ?!.. არ ვიცი არ ვიცი!.. მეორეთ მოსვლაა, ანტექრისტობაა, აღამახმადხანობაა, აჯაბსანდალია, თუ დომხალი?! იძახიან: „პური არ არისო!“... რაზუმეიცა არ იქნება, თუ მთელი წელიწადი პრაზნიკებათ გამოვაცხადეთ და ხელი არ გავაქნიეთ.

რაკი ერთი გაიგეს, ვინ ოხერი იქნება რომ არ გაიმართოს ეს დახოდნი პრაზნიკი და ფულის კრუშკები მელის ხაფანგივით არ დააგოს ყველა პერეულკებში. ეხლა უყურე რომ დაიწყება: ეს ცირულნიკების დღეო, ეს პარიკმახერებისაო, ეს ხარაზისაო, ეს ბრილენჩიკისაო, თოქმაჩისაო, მეხაშისაო, თულუხჩისაო, მიკიტნისაო, მექისისაო... არა, ღვთის წინაშე მექისეებს კი ეკუთნის ეს ფულიანი პრაზნიკი, თუ რიგიანათ დაუზილავენ გვერდებს ამ ახალ მოდის პრაზნიკების მომგონს.

ეხლა ნახეთ ამ საპრაზნიკო დღეების ოჩერეზზე რა ბაგი-ბუგი და ახთუხმა გაიმართება! რაზუმეიცა გაიმართება. ვინ ოხერი იქნება რომ ამისთანა დახოდნი სტატია ხელიდან გაუშვას! მე შენ გითხრა ოფლის დაღვრა არ დაგჭირდეს აი! შენ დაჯექ არხეინად და ეს ბარიშნები რომ დაიკიდებენ წინ წითელ ლენტიან კრუშკებს და მოედებიან აღმადაღმა მომეტალნათ გაუსუფთავებენ ჯიბეებს ვისაც კი დაეტაკებიან და ფულით გატენილ კრუშკებს სულ ზაგრანიჩნი რეჩებით ჩაგაბარებენ!

კარგია მეც რომ მომიწევდეს ასეთი პრაზნიკის ოჩერეზი, მაგრამ მე ვინ მამაშავებს ამისთანა ღლბალს! მე მჭადისა და ლობიოს ჭამისაგან ღრძილები მარტირუზას კოტლი ვირის ზურგივითა მაქვს გადატყავებული და ამისთანა დროს მომადგებიან კრუშკებით ეს ძეხვივით გატენილი ბარიშნები და გინდა თუ არა: „ჩააგდეო!“

ვა, ხალხნო, სამი დღეა არაფერი მიჭამია, ჯიბეში თაგვები ნაურსკის თამაშობენ და მშიერმა კაცმა რა ჩაუგდო, მაგრამ შენ გაჭირებას ვინ უყურებს! რომ შამოგესევიან ეს კუდრაეები, დაგიწყებენ კუდის ქანაობას და გეჩვეწებიან: „ჩააგდეო!“ მოდი და ნუ ჩაუგდებ თუ ბიჭი ხარ და ქუდი გხურავს! ვა, ვა, ვა! გავტყავდი, ხალხნო, იწამეთ ღმერთი, შამიბრალეთ! იქ თელეთში ჩვენი ტერგეურქას განძანაკს*) ვერ დავემალე და აქ ამ ქალების კრუშკებს!... ეხ... მახლას!...

გოგია.

ეშხი-მეშხი.

(ხალხური ლექსი)

ვაჭრებისა ეშხი-მეშხი
დავთარი და ჩოთქი ხელში;
ხარაზების ეშხი მეშხი
სადგისი და ნემსი ხელში;
ბრიკაცის ეშხი-მეშხი
ჩიბუხი და ფოცხი ხელში;
დედაბერის ეშხი-მეშხი
საცერი და გობი ხელში;
„ბარიშნების“ ეშხი-მეშხი
გიტარა და ლექსი ხელში;
სტუდენტების ეშხი-მეშხი
ქოჩორი და ტროსტი ხელში.

გ. ლომოვ

---

*) განძანაკს ეძახიან სომხები: ყულაბას, ან თეფშს, რომელსაც ხმარობენ ფულის მოსაკრეფად ეკლესიებში.

"ეშმაკის მათრახის"
მეთორმეტე ნომრიდან დაიწყება ბეჭდვა რუსეთის ცნობილ პოეტის ბალმონტის ახალი პოემისა
„მტარვალი ავაზის ტყავისა"
პოემა ითარგმნება ცნობილი ქართული პოეტის მიერ სპეციალურად „ეშმაკის მათრახისთვის"

ეფროსინეს გათხოვება.

პირდაპირ გადამერია ჩემი ეფროსინე!

— გინდა თუ არა კამისარს უნდა წავყვეო.

გოუწყერი: მაგის ლაპარაკს რავა მიბედავ მეთქი, მარა არ გაგიწყრეს ღმერთი, არ დამიჯერა, ამიხირდა.

— კაი ბიჭია, ის რომ კაი არ იყოს, ნიკოლოზი პრაპორჩიკობას არ მიცემდა და ახალთაობა კამისრათ არ დააყენებდაო.

მეც დაუჯერე, ავდექი და ქე მივათხოვე ჩემი მარწყვივით გოგო. ვაი რავა არ დეიქცა ის დღე. ხუთი ათასი სულ ჟორდანია — გეგეჭკორის ფულები დოუთვალე. ახლა ბარგს არ ერტყვი: ექვსი ბალიში, ლიბები, საბნები, მუთაქები... ვფიქრობდი: მევისვენე ახლა მეთქი. მარა არ გაგწყრეს ღმერთი. თურმე ის ჩემი პატიოსანი სიძე ვიღაც ჩემი ცოდვით სავსის ქრთამების აღებაში დოუჭერია. დააბეზღეს ერობაში. შეიქნა გამოძიება. დაკითხვა და ქე გამოუძახეს გარეთ. იქით ვეცი, აქეთ ვეცი, ხან ფულით, ხან ხარჯით, მარა არ იქნა არაფერი შველა, ქე აკრიეს თავი ვირს აბანოში. დამრჩა ეი ჩემი ეფროსინე ყურეს ჩამოყრილი.

ასე იცის თურმე კამისრების აყოლამ.

სიმონიკა.

*
* *

ამხანაგი ლადო მოკრძალებით შევიდა სამინისტროს გრძელ დერეფანში.

— ამხანაგო, თუ შეიძლება მიმასწავლე, რომელ ოთახში ვნახავ კანცელარიის დირექტორს.

მიმართა მან ერთ მოინტელიგენტო მოხელეს.

— უკაცრავად... მე არაფერი თქვენი ამხანაგი არა ვარ!

მკვახეთ მიუგო მოხელემ.

— რატომაც არა, ჩემო კარგო, ბავშვობის ამაინც მექნება ერთი ნაჭერი შაქარი მოპარული.

უპასუხა ლადომ ცხვირ აწეულ მოხელეს და მეორისაკენ გასწია.

დეპეშები

დაბა აბაშა. აბაშის სადგურის უკან და აგრეთვე ფოსტის ახლო აღმოაჩინეს ტალახის აბანოები. ექიმების აზრით აბანო რადიკალურათ ჰკურნავს ყოველგვარი სენისაგან და ყველასათვის ხელმისაწვდომიც არის, ვინაიდან თვით სადგურს აკრავს უკანა კარებზე. საჭიროა ამ განძს ყურადღება მიაქციოს ვისგანაც ეს ჯერ არს.

ლენცოფა.

ორი მეტოქე

(მოთხრობა ამერიკული. ავტორი იტალიელი. მთარგმნელი ქართველი.)

(გაგრძელება).

მეორე საღამოს ხის ქვეშ მწვანე მოლზე გაიმართა დიდებული ქეიფი. აღამიანმა და მაიმუნმა შესაფერი პატივი სცეს სხვა და სხვა კონსერვების კოლოფებს.

მეცნიერის გეგმა იყო სულ უბრალო: უნდა დაეთრო მაიმუნი, შეეთრია კარავში და ჩაეკეტა. მაგრამ მაიმუნი უფრო ეშმაკი გამოდგა: ის მოუხვდა მეცნიერს და მხოლოდ მაშინ სჭამდა და სვამდა, როცა ამის მაგალითს მეცნიერი უჩვენებდა. ასე, რომ მეცნიერი იძულებული შეიქნა ზედი-ზედ ეცალა სავსე ჭიქები და ბოლოს ადამიანი და მაიმუნი ორივე ერთნაირად დათვრენ. ერთმანეთს ჩახვეულნი ისინი გორაობდენ მდელოზე, რაპაზონი საშინელი ბღავილით იოხებდა თავის ნაღველს მეგობრის ბალნიან მკერდს მიხუჭებული და მაიმუნი კი, ნიშნად თანგრძნობისა, რაღაცას ბუტბუტებდა.

რაპაზონს ძილი მოუნდა და თავისი მეგობარიც თან წაიყვანა კარავში, თუმცა არავითარი ბალული განზრახვა მას ამ დროს არ ჰქონია, რადგანაც მისი ექსპედიციის მიზანი უკვე ღვინოში იყო ჩაძირული. სანამ დაიძინებდა, რაპაზონმა ცოტა ინღირა და ამ დროს შენიშნა, რომ მაიმუნი ბანს აყოლებდა მის სიმღერას, მაგრამ ამ უცნაურ მოვლენას არ შეუჩერებია მისი ყურადღება, ვინაიდან მთვრალს ყველაფერი ბუნებრივად ეჩვენება.

ღილით, როცა გამოეღვიძა, რაპაზონი დიდხანს ვერ მოვიდა გონს და ვერ მოისაზრა თუ სად იმყოფებოდა. მხოლოდ მაშინ დაუბრუნდა სინამდვილეს როცა შენიშნა ხის ქვეშ ნასუფრალი. ულცებ მოაგონდა გუშინდელი მისი გეგმა მაიმუნის შეპყრობისა და ამისათვის მომზადებულ ხაფანგს მიაპყრო იმედიანი თვალები, მაგრამ მაიმუნი იქ აღარ იყო.

ცხადია გეგმა ვერ იქნა შესრულებული და გუშინდელი მაგალითის მიხედვით არც შემდეგში იყო

მოსალოდნელი მისი სისრულეში მოყვანა, პირიქით შესაძლებელი იყო ასეთ ტაქტიკას მოყოლოდა მეცნიერის პირადი ღირსების სამუდამოდ დაკარგვა.

როცა ასეთ დასკვნამდის მივიდა მეცნიერი, მან ახალი გეგმის შემუშავებას მიჰყო ხელი და ბოლოს გადასწყვიტა მაიმუნისათვის მომარაგებულ ღვინოში რაიმე ნარკოტიული წამალი გაერია.

მან მოამზადა ორი ღვინის ერთნაირი ბოთლი და ერთში ძილის მომგვრელი ფხვნილი ჩაყარა, შემდეგ დანიშნა მოწამლული ბოთლის დასაცავი და დაუწყო ლოდინი საღამოს.

მაიმუნი ჩვეულებისამებრ მოვიდა თავის დროზე და ამ ჟამად მეტის ნდობით მიუახლოვდა რაპაზონს. მეცნიერმა ყველაფერი დაამზადა ვახშმისათვის და ერთის წუთით ჭიქების მოსატანად წავიდა მეორე კარავში. როცა დაბრუნდა მაიმუნი კონსერვების კოლოფიბს ხსნიდა დიდის ხალისით. ეტყობოდა, რომ გუშინ შენიშნა თუ როგორ იხსნიბოდა კოლოფი, და ახლა დიდის გამოცდილებით ასრულებდა ამ საქმეს. რაპაზონმა მაიმუნს დაუდგა წინ დანიშნული ბოთლი, მეორე თითონ დაიდგა. დაიწყეს ვახშმობა. რომ ეჩვენებინა მაიმუნისათვის მაგალითი, რაპაზონმა აავსო თავისი ჭიქა და დალია. მაიმუნმა მაშინვე შეასრულა თავისი რიგიც.

რაპაზონს ტუჩებზე კმაყოფილების ღიმილი აუთამაშდა, მაგრამ მაშინვე ხელიდან გაუვარდა ჩანგალი და გრძნობა დაჰკარგა...

როცა გამოერკვა—საშინელი სურათი დაინახა: თითონ იჯდა ხაფანგში, რომელიც მაიმუნის შესაპყრობად ჰქონდა მომზადებული და მაიმუნი კი წამოწოლილიყო დივანზე მეცნიერის კარავში და სიამოვნებით აბოლებდა მისს ჩიბუხს.

მეცნიერის პირველ განძრევისათანავე მაიმუნმა პირი იბრუნა მისკენ და მეგობრულად დაუქნია ხელი.

მეცნიერს ტანში სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა: სულ ერთი არ არის რომელ ხაფანგში მოიმწყვდევს მაიმუნს?.

მაგრამ, ვაი ამ საათს! როცა მეცნიერმა მოინდომა ხაფანგიდან გასვლა, დარწმუნდა, რომ ის ჩაკეტილია შიგ და იქიდან ვამოსვლის იმედი ხომ არ შეიძლება ჰქონდეს, ვინაიდან მაიმუნი ვერც მას გაუღებს ხაფანგის კარს და ვერც თითონ გაითავისუფლებს თავს. ხაფანგის რთულ მექანიზმის რა იცის მაიმუნმა, რომელმაც, ალბად, შემოხვევით ან უცაბედათ ჩაჰკეტა მეცნიერიც და თავისი თავიც.

ამასთანავე მეცნიერმა შენიშნა, რომ საროვაგის უმეტესი ნაწილი იმ კარავშია, სადაც ახლა მაიმუნია და მას კი მხოლოდ რამდენიმე კოლოფი შერჩა, მაიმუნის შესატყუებლად რომ ჰქონდა ხაფანგში მოთავსებული: როცა ამას შესჭამს—მეცნიერს სიმშილით სიკვდილი მოელის

მართლაც, პირველ დღეს რაპაზონმა ისადილა და ივახშმა, თუმცა ძალიან ღარიბულად, მაგრამ ორი დღის განმავლობაში მან გაიზიარა ტანტალის ბედი: მისს კარავში საჭმელი არაფერი იყო და იქვე ახლო მაიმუნი პირდაპირ განცხრომაში იყო, მიირთმევდა ნაირ-ნაირს და მშვენიერ ღვინოსაც აყოლებდა ზედ.

საბრალო მეცნიერმა სცადა სიბრალულის გრძნობა გამოეწვია მაიმუნში, მაგრამ ამაოდ. და კიდეც რომ მოესურვებინა მაიმუნს, მაინც ვერაფერს უშველიდა მეცნიერს, რადგანაც მას არ შეეძლო არც გაღება და არც დაკეტა თავისი სადგომის.

პატიმრობის მესამე დღეს. რაპაზონი ფრიად სამწუხარო მდგომარეობაში იყო სიმშილისაგან არაქათ-გამოლეული, ლონე-მიხდილი იწვა ის თავის კარავში და საბრალოდ კვნესოდა. მაიმუნმაც მიაქცია ბოლოს ყურადღება თავის ულბედურ მეგობარს და შეეცადა კარის გაღებას, მაგრამ ვერ მოახერხა.

საღამოს რაპაზონს გიჟური ბოდვა დაეწყებინა. თვალებ-გამობურთული შეშლილივით ეძგერებოდა ხაფანგის რკინის მოაჯირს გასამტვრევად, ტიროდა, თმებს იგლეჯდა და ბღაოდა გიჟივით.

მაიმუნიც, ეტყობოდა, სწუხდა. ჯერ თავისი მეგობრის წაბაძვით, ისიც სცდილობდა კარავის რკინის კედელის გამტვრევას, მაგრამ როცა ეს ვერ მოახერხა, დიდის ყურადღებით შეუდგა რკინის სალტეთა შინჯვას, თითქოს სცდილობს გამოარკვიოს, როგორ გაიღება კარიო. რაპაზონი მოუთმენლად ადევნებდა თვალს მაიმუნის მოშაობას და როცა დარწმუნდა, რომ ის მიხვდა მექანიზმის საიდუმლოებას, სრულიად ინსტინქტიურად შეჰყვირაა

— მოაბრუნე პირველი რკინა სამჯერ მარცხნივ და ასწიე ზევით!

პირდაპირ სასწაული მოხდა! მაიმუნმა მაშინვე შეასრულა ბრძანება, გააღო კარავი და ეცა რაპაზონის კარავს, გასწია დვირე და გრძნობა დაკარგული მეგობარი მკერდს ჩაიკრა.

როცა რაპაზონი გონს მოვიდა, ის უკვე გადაეყვანა მაიმუნს კარავში და ექიმზე არა უარესად უვლიდა მას.

ხანგრძლივ მარხვისა და სულიერ ტანჯვისაგან დაუძლურებული რაპაზონი იწვა გაუნძრევლად და უყურებდა თუ როგორ ჯარასავით ტრიალებდა მაიმუნი და სპირტის ლამპაზე ხარშავდა ბულიონის კონსერვს, რომელსაც მეცნიერის ძალღონე უნდა აღედგინა.

(დასასრულ იქნება)

„ქიმერიონში“

ლაქია. უკაცრავად, ბატონო, მაგრამ სუფრის ქვეშ ჯდომა არ შეიძლება... დაბრძანდით სკამებზე, თუ შეიძლებოდეს.

სტუმრები. გიჟი ხო არა ხარ, ჩემო ძმაო! ჯერ სიცოცხლე არ მოგვეძულებია.., ერთიც ვნახოთ, ი კედლებზე რომ რაღაებიც არის, გვერდით მოგვისხდენ... არა ძმაო, აქ უფრო გულდამშვიდებით გიახლებით ამ ორ ლუკმას.

ფოსტა.

(საინფორმაციო განყოფილება).

ცუცას. თქვენი გატაცება „აბესალომ და ეთერის“ სიყვარულით ჩვენთვის გასაგებია, მაგრამ ჩვენ მაინც არ გვესმის რა შუაშია აქ კოოპერატივი. რამდენათაც ვიცით აბესალომ კოოპერატივის პასუხისმგებელ ნოქრათ არასოდეს არ ყოფილა.

მგოსანს ვარდისპირელს. გეთანხმებით, რომ მათ შორის საერთო ბევრია, მაგრამ ერთი რუსული ჟურნალის თქმისა არ იყოს განსხვავებაც დიდია. ავთმყოფს მალიარია ჯერ შეაციებს და მერე შეახურებს; სიყვარული კი პირიქით, ჯერ მაგარ სიცხეს მისცემს, ხოლო მერე შეაციებს.

ლამაზ ქვრივს. ჩვენ პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებთ. ბევრი რამეა დამოკიდებული როგორც შემთხვევებზე, ისე გემოვნებაზედაც. თქვენი წერილის საიდუმლოება დაცულია; შინაარსი რომ არ გაიგონ, ალარ ვბეჭდავთ, თუმცა დაბეჭდვის შემდეგაც ვერავინ ვერაფერს გაიგებდა.